

სს „პეივ ბანკ ჯორჯია“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2025
წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7
სრული შემოსავლის ანგარიშგება 7
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 9
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 11
2. მომზადების საფუძვლები 11
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა 14
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 18
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 19
6. კაპიტალის მართვა 23
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 24
8. სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში 25
9. სხვა აქტივები 25
10. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები 25
11. ვალდებულებები კლიენტების მიმართ 26
12. სხვა ვალდებულებები 26
13. კაპიტალი 26
14. საპროცენტო შემოსავალი 27
15. საკომისიო შემოსავალი 27
16. სხვა შემოსავალი 27
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 27
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 28
19. გარე საბალანსო აქტივები და ვალდებულებები 29
20. პირობითი ვალდებულებები 29
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 30

მმართველობის ანგარიშგება 32

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს პეივ ბანკ ჯორჯიას აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „პეივ ბანკ ჯორჯიას“ (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ბანკისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) შესაბამისად, რომელიც ვრცელდება საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ბანკის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნობთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ბანკის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ბანკის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ბანკი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2025 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია 2025 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2025 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა

მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ბანკის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ბანკის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობა, გამოვთქვით მოსაზრება ბანკის მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

15 მაისი 2026 წელი

სს პეივ ბანკ ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31.12.2025	31.12.2024
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	59,588	7,964
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	8	30,124	15
სხვა აქტივები	9	1,360	499
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	10	23,871	-
არამატერიალური აქტივები		249	262
ძირითადი საშუალებები		48	5
სულ აქტივები		115,240	8,745
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	11	96,293	1,273
საგადასახადო ვალდებულებები		179	-
სხვა ვალდებულებები	12	9,824	49
სულ ვალდებულებები		106,296	1,322
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	13	8,052	8,052
გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)		892	(629)
სულ კაპიტალი		8,944	7,423
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		115,240	8,745

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2026 წლის 15 მაისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ომარ-სალიმ დანანი

გენერალური დირექტორის მოადგილე

დმიტრი ბოჩაროვი

სს პეივ ბანკ ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31.12.2025	31.12.2024
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	59,588	7,964
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	8	30,124	15
სხვა აქტივები	9	1,360	499
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	10	23,871	-
არამატერიალური აქტივები		249	262
ძირითადი საშუალებები		48	5
სულ აქტივები		115,240	8,745
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	11	96,293	1,273
საგადასახადო ვალდებულებები		179	-
სხვა ვალდებულებები	12	9,824	49
სულ ვალდებულებები		106,296	1,322
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	13	8,052	8,052
გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)		892	(629)
სულ კაპიტალი		8,944	7,423
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		115,240	8,745

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2026 წლის 15 მაისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



ომარ-სალიმ დანანი

გენერალური დირექტორის მოადგილე



დმიტრი ბოჩაროვი

11 -30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს პეივ ბანკ ჯორჯია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2025 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2025	2024
საპროცენტო შემოსავალი	14	1,881	489
საპროცენტო ხარჯი		(44)	-
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		1,837	489
საკომისიო შემოსავალი, წმინდა	15	3,805	44
სხვა შემოსავალი	16	620	498
არასაპროცენტო შემოსავალი		4,425	542
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(4,740)	(2,014)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		130	(25)
მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე		1,652	(1,008)
მოგების გადასახადის ხარჯი		(131)	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		1,521	(1,008)

11 -30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს პეიჯ ბანკ ჯორჯია

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2025 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2025	2024
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
საპროცენტო შემოსავალი	14	1,881	489
საპროცენტო ხარჯი		(44)	-
საკომისიო შემოსავალი, წმინდა		4,069	44
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(4,127)	(1,929)
სხვა შემოსავალი		1,118	-
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(193)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		2,897	(1,589)
წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებში			
ცვლილება სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებში საქართველოს ეროვნულ ბანკში		(30,182)	(15)
ცვლილება მომხმარებლის მიმდინარე ანგარიშებში		95,020	1,324
სხვა ვალდებულებების ცვლილება		8,962	-
სხვა აქტივების ცვლილება		(1,204)	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/ (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		75,493	(280)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა		(58,360)	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დაფარვა		34,676	-
ძირითადი საშუალებების შეძენა		(28)	(21)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(32)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(23,712)	(53)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
სააქციო კაპიტალის გამოშვება		-	3,052
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		-	3,052
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		(157)	(41)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა		51,624	2,678
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	7	7,964	5,286
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	7	59,588	7,964

11 -30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს პეიჯ ბანკ ჯორჯია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2025 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)	სულ
31.12.2023		5,000	379	5,379
სააქციო კაპიტალის გამოშვება	13	3,052	-	3,052
წლის მთლიანი სრული ზარალი		-	(1,008)	(1,008)
31.12.2024		8,052	(629)	7,423
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	1,521	1,521
31.12.2025		8,052	892	8,944

11 -30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს პეივ ბანკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2025 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „პეივ ბანკ ჯორჯია“ (შემდგომში — „ბანკი“) დაფუძნდა 2023 წლის 14 მარტს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქმიანობს როგორც სააქციო საზოგადოება „პეივ ბანკ ჯორჯია“, საიდენტიფიკაციო ნომრით: 404668436.

ბანკი საქმიანობს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გაცემული საბანკო ლიცენზიის საფუძველზე. 2023 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სს „პეივ ბანკ ჯორჯიას“ მიანიჭა საბანკო ლიცენზია ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპების გათვალისწინებით და განსაზღვრა ის მოთხოვნები, რომლებიც ბანკმა ეტაპობრივად უნდა დააკმაყოფილოს.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქ. N 14.

2025 წლის 8 დეკემბერს სს „პეივ ბანკ ჯორჯიამ“ გახსნა წარმომადგენლობითი ოფისი ლონდონში, გაერთიანებულ სამეფოში, რომელიც არ წარმოადგენს ცალკე იურიდიულ პირს, შვილობილ კომპანიას ან ფილიალს. ოფისის მისამართია: 85 Gresham Street, London, United Kingdom.

2025 წლის განმავლობაში ბანკს წარმომადგენლობითი ოფისის მეშვეობით საქმიანობა არ განუხორციელებია. 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციების 100%-იანი წილის მფლობელია სინგაპურში დაარსებული ჰოლდინგური კომპანია Paving the Way Pte. Ltd. ბანკის საბოლოო ბენეფიციარები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	31.12.2025	31.12.2024
ომარ-სალიმ დანანი	63.79%	65.00%
საიმონ ჯეიმს ვანს-კოლინა	15.12%	20.00%
დმიტრი ბოჩაროვ	11.10%	15.00%
სხვა	9.99%	0.00%
	100.00%	100.00%

საანგარიშგებო წლის განმავლობაში ბანკს საშუალოდ ჰყავდა 23 თანამშრომელი (2024: 11 თანამშრომელი). ამასთან, როგორც 2025, ისე 2024 წელს ბანკის უმაღლესი მენეჯმენტი შედგებოდა 3 პირისგან.

2025 და 2024 წლებში ბანკს დროებითი თანამშრომლები არ ჰყოლია.

2. მომზადების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ბანკის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ბანკი სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქართულ ლარში (თანხები მოცემულია ათასებში).

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება ბანკის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე - ანუ დაშვებით, რომ ბანკი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ბანკისათვის.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისას, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ბანკის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობა მისი მიზნების მისაღწევად და შესასრულებლად.

ხელმძღვანელობას აქვს გონივრული მოლოდინი, რომ ბანკს, მთლიანობაში, აქვს საკმარისი რესურსი, ფუნქციონირების გასაგრძელებლად, ფინანსური ანგარიშგების გამოშვებიდან 12 თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას ბანკის შესაძლებლობას, გააგრძელოს ფუნქციონირება პროგნოზირებად მომავალში.

ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში

ახალი და განახლებული ფას სტანდარტების მიღება

სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც პირველად ამოქმედდა 2025 წლის განმავლობაში

ბასს 21-ის ცვლილებები – გაცვლადობის არარსებობა

ცვლილებები ადგენს მოთხოვნებს იმ შემთხვევების იდენტიფიცირებისთვის, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლადი სხვა ვალუტაზე კონკრეტული შეფასების თარიღისთვის. იმ შემთხვევაში, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლადი, საწარმო ვალდებულია დაადგინოს სპოტ-სავალუტო კურსი შეფასების მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული ცვლილებების მიღებას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

გამოშვებული სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები რომლებიც არ არის ამოქმედებული

ქვემოთ წარმოდგენილია ის სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც გამოშვებულია, თუმცა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის ამოქმედებული და ბანკს ნაადრევად არ მიუღია.

ძალაში შესვლა წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2026 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ

ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ცვლილებები – ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება

ცვლილებები ითვალისწინებს:

- გარკვეული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და ჩამოწერის დროის დაზუსტებას, მათ შორის გამონაკლისს ზოგიერთი ფინანსური ვალდებულებისთვის, რომელიც იფარება ელექტრონული ფულადი გადარიცხვის სისტემის მეშვეობით;
- დამატებით განმარტებებსა და მითითებებს ფინანსური აქტივების შეფასებისთვის მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმის (SPPI) შესაბამისად;
- ახალ გამჟღავნების მოთხოვნებს იმ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომელთა სახელშეკრულებო პირობები შეიძლება იწვევდეს ფულადი ნაკადების ცვლილებას;
- ხელშეკრულებით დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი მახასიათებლების განმარტებას და თუ როგორ განსხვავდება ისინი არარეგრესული მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივებისგან, ასევე მოიცავს ფაქტორებს, რომლებიც კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს არარეგრესული მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადების შეფასებისას („გადახედვის ტესტი“); და
- ცვლილებებს სამართლიან ღირებულებაზე სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში კლასიფიცირებული კაპიტალის ინსტრუმენტების გამჟღავნებაში.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესებები – ტომი 11

წლიური გაუმჯობესებები მოიცავს მცირე მასშტაბის ცვლილებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ფასს სტანდარტებში არსებული ტექსტის დაზუსტებას ან შედარებით უმნიშვნელო შეუსაბამობების, შეცდომებისა და წინააღმდეგობების გამოსწორებას. ცვლილებები შეეხება ფასს 1-ს, ფასს 7-ს, ფასს 9-ს, ფასს 10-ს და ბასს 7-ს.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ცვლილებები – ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერჯის კონტრაქტები

ცვლილებები აზუსტებს „საკუთარი გამოყენების“ მოთხოვნების გამოყენებას, ნებადართულს ხდის ჰეჯირების აღრიცხვას შესაბამის შემთხვევებში და შემოაქვს მიზნობრივი გამჟღავნების მოთხოვნები. ცვლილებები ვრცელდება იმ კონტრაქტებზე, რომლებიც საწარმოს აყენებს ელექტროენერჯის ფასის ცვალებადობის რისკის წინაშე ბუნებრივი, კონტროლს მიღმა არსებული ფაქტორების გამო.

აღნიშნული ცვლილებები ძალაში შედის წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2026 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. ცვლილებების ადრეული გამოყენება ნებადართულია. თუმცა, გარკვეული იურისდიქციებისთვის ცვლილებების გამოყენებამდე აუცილებელია მათი ოფიციალური დამტკიცება.

ძალაში შესვლა წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ

ბასს 21-ის ცვლილებები – ჰიპერინფლაციური პრეზენტაციის ვალუტაში წარდგენა

ცვლილებები ადგენს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის წესებს იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოს პრეზენტაციის ვალუტა ჰიპერინფლაციური ეკონომიკის ვალუტაა, ხოლო ფუნქციური ვალუტა არა. ცვლილებების მიზანია ინფორმაციის სარგებლიანობის გაუმჯობესება და პრაქტიკაში არსებული განსხვავებების შემცირება.

ფასს 18 – ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა და გამჟღავნება

ფასს 18 შემოაქვს ახალი მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენისა და ინფორმაციის გამჟღავნების მიმართულებით, მათ შორის:

- მოგება-ზარალის ანგარიშის განახლებული სტრუქტურა და სავალდებულო შუალედური ჯამები;
- ინფორმაციის აგრეგაციისა და დეზაგრეგაციის გამლიერებული პრინციპები; და
- მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული შესრულების მაჩვენებლების გამჟღავნების მოთხოვნები.

ფასს 18-ის გამოქვეყნების მიზანია კომპანიების ანგარიშგების შესადარისობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება. ფასს 18-მა ასევე გამოიწვია მცირედი ცვლილებები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ფასს 19 – შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშგებულების გარეშე: გამჟღავნება

ფასს 19 უფლებას აძლევს უფლებამოსილ შვილობილ კომპანიებს გამოიყენონ ფასს სტანდარტები შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნებით, აღიარების, შეფასებისა და წარმოდგენის პრინციპების უცვლელად შენარჩუნებით. სტანდარტის გამოყენება ნებაყოფლობითია შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

ფასს 19-ის ცვლილებები – შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშგებულების გარეშე: გამჟღავნება

ცვლილებები ამცირებს გამჟღავნების მოთხოვნებს გარკვეული სტანდარტებისა და ცვლილებების მიმართ (რომლებიც გამოქვეყნდა 2021 წლის თებერვლიდან 2024 წლის მაისამდე პერიოდში), მათ შორის ფასს 18-ის, მომწოდებელთა დაფინანსების შეთანხმებების, მეორე სვეტის (Pillar Two) საგადასახადო რეფორმის, ბასს 21-ის გაცვლადობის ცვლილებებისა და ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ცვლილებების ფარგლებში.

ამ ცვლილებების გამოყენების შემდეგ, ფასს 19 ასახავს IFRS საბუღალტრო სტანდარტებში განხორციელებულ ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შედის ფასს 19-ის ამოქმედების თარიღამდე. შემდგომში ფასს 19 შეიცვლება იმავე დროს, როდესაც გამოიცემა ან გადაიხედება სხვა IFRS საბუღალტრო სტანდარტები.

ბანკის ხელმძღვანელობას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ რომელიმე სტანდარტს/ცვლილებას, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სს პეივ ბანკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2025 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ბანკი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული წარმოდგენილია ლარში, რომელიც ბანკის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაინგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში არსებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს	ეროვნული	ბანკის
	ოფიციალური	გაცვლითი	კურსი
	აშშ დოლარი	ევრო	
კურსი 2025 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6951		3.1737
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068		2.9306

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასთან ან გამომშვებასთან.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ბანკი ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს ბიზნესმოდელის შესაბამისად, ერთ-ერთი კატეგორიით შემდეგი სამი კატეგორიიდან:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ამ ინსტრუმენტების მართვის ბიზნესმოდელზე. ბანკმა ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ბანკი მხოლოდ მაშინ აფასებს ამორტიზებული ღირებულებით ფინანსურ აქტივებს, თუ ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანაც არის ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს (SPPI);

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ბანკი ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ბანკი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) ბანკმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ბანკი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ბანკი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებები

ბანკს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას.

ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა

ბანკი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. ბანკი ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მოდიფიცირებულია მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულ პირობებთან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადახდილი ოდენობა მოიცავს გადაცემულ არა-ფინანსურ აქტივებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და ნაკისრ ვალდებულებებს, ახალი მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების ჩათვლით.

თუ ფინანსური ვალდებულების მოდიფიცირება არ არის აღრიცხული როგორც აღიარების შეწყვეტა, მაშინ ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება განაგრძებულია მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით და შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი გაწეული საკომისიო ხარჯი აღიარდება როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების დარჩენილ ვადაზე ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ხელახლა გამოთვლით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საფინანსო დაწესებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, რომელთა დაფარვის ვადა შესყიდვიდან 90 დღე ან ნაკლებია და რომლებიც ექვემდებარება მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილებების არა-არსებით რისკს და გამოიყენება ბანკის მიერ მისი მოკლევადიანი ვალდებულებების სამართავად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე. არამატერიალური აქტივები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს საბანკო ლიცენზიას და გადახდის სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფას (2024: საბანკო ლიცენზია). საბანკო ლიცენზიას აქვს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა და არ ამორტიზდება. გადახდის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის სასარგებლო მომსახურების ვადაა 5 წელი.

სს პეიგ ბანკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2025 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ვალდებულებები კლიენტების მიმართ

ვალდებულებები კლიენტების მიმართ არის კორპორატიული კლიენტების მიერ ბანკში გახსნილი მიმდინარე ანგარიშები, რომლებიც აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

გადავადებული საგადასახადო აქტივი/ვალდებულება

აქტივებისა და ვალდებულებების ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის განსაზღვრულ საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ ღირებულებებს შორის დროებითი სხვაობები წარმოშობს გადავადებულ საგადასახადო აქტივებს ან ვალდებულებებს.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსურ ანგარიშგებაში გადავადებული საგადასახადო აქტივი არ არის აღიარებული, ვინაიდან ბანკს ჰქონდა არამატერიალური გამოქვითვადი დროებითი სხვაობები, რომლებსაც შეეძლო გადავადებული საგადასახადო აქტივის წარმოშობა.

სააქციო კაპიტალი

ბანკის სააქციო კაპიტალი განისაზღვრება ბანკის წესდებით. ბანკის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

შემოსავლის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად. საპროცენტო შემოსავალი მოიცავს სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებსა და დეპოზიტებზე, აგრეთვე საინვესტიციო ფასიან ქაღალდებზე დარიცხულ პროცენტს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ზუსტად უთანაბრებს ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულების საბალანსო ღირებულებას.

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დროის პროპორციულად ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მოიცავს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ სავალ ფინანსურ ინსტრუმენტებზე დარიცხულ ამორტიზებულ პროცენტს. პრემიისა და დისკონტის ამორტიზაცია აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით შესაბამისი ინსტრუმენტის ვადის განმავლობაში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დარიცხული, მაგრამ მიუღებელი საპროცენტო შემოსავალი აღიარდება, როგორც დარიცხული საპროცენტო მოთხოვნა.

საკომისიო შემოსავალი

ბანკი იღებს საკომისიო შემოსავალს მომხმარებლებისთვის გაწეული სხვადასხვა მომსახურებიდან. საკომისიო შემოსავალი შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

საკომისიო შემოსავალი დროის განმავლობაში გაწეული მომსახურებისთვის

დროის განმავლობაში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული საკომისიოები აღიარდება იმ პერიოდის განმავლობაში, რომლის განმავლობაშიც სრულდება შესაბამისი შესრულების ვალდებულებები.

საკომისიო შემოსავალი დროის კონკრეტულ მომენტში

ტრანზაქციული ტიპის მომსახურებიდან მიღებული საკომისიოები, როგორცაა ანგარიშსწორება, ფულადი გადარიცხვები და ნაღდი ფულით ოპერაციები, აღიარდება შესაბამისი ტრანზაქციის დასრულებისას. თითოეული ტრანზაქცია აღიარდება როგორც ცალკე სახელშეკრულებო შესრულების ვალდებულება.

სს პეიგ ბანკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2025 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხარჯის აღიარება

როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადინება ბანკიდან, შესაბამისი ხარჯები აღიარებულია ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, დარიცხვის პრინციპის შესაბამისად.

იჯარა

ბანკი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად ქირაობს ფართს და აღნიშნულ ხელშეკრულებებს საოპერაციო იჯარად აკლასიფიცირებს. საოპერაციო იჯარის გადასახადები ხარჯად აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა მეთოდი უფრო ზუსტად ასახავს იჯარით აღებული აქტივიდან მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურას.

ბანკი არ აღიარებს გამოყენების უფლების მქონე აქტივებსა და საიჯარო ვალდებულებებს მოკლევადიანი იჯარებისათვის, აგრეთვე ისეთი შეთანხმებებისათვის, სადაც არ არსებობს იდენტიფიცირებადი აქტივი და ბანკს არ აქვს მოპოვებული კონტროლი იდენტიფიცირებადი აქტივის გამოყენებაზე.

პერსონალის ხარჯი

ხელფასები, სარგოები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი, ასევე, თანხა გადახდილი წილობრივ ინსტრუმენტზე დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები ბანკის თანამშრომლების მიერ.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები, ანარიცხები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ბანკიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ბანკში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ბანკს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ბანკში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ბანკში ანარიცხი აღიარდება, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ბანკის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსური ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ბანკი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფასიანი ქაღალდების შეძენასთან დაკავშირებული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი იყენებს პროფესიულ განსჯას ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების შეძენასთან დაკავშირებული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის წარდგენისას, კერძოდ, იმის განსაზღვრისას, ბანკი მოქმედებს როგორც მარწმუნებელი თუ რწმუნებული.

ბანკი მომხმარებლებს უწევს შუამავლურ მომსახურებას, რომლის ფარგლებშიც ბანკი მოქმედებს როგორც რწმუნებული და ახორციელებს საინვესტიციო ტრანზაქციებს, რაც მოიცავს მომხმარებლების სახელით, მათი კონკრეტული მითითებების საფუძველზე ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების შესრულებას. აღნიშნული შეთანხმებების ფარგლებში მომხმარებლები ბანკს აწვდიან თანხებს შერჩეულ საინვესტიციო ინსტრუმენტებში განსათავსებლად, ხოლო თითოეული ტრანზაქცია ხორციელდება მხოლოდ მომხმარებლის მკაფიო მითითების საფუძველზე, მათ შორის ინსტრუმენტის, თანხის, ვადის და სხვა შესაბამისი პარამეტრების მითითებით. ბანკს არ აქვს დისკრეტია, გამოიყენოს, გადაამისამართოს ან დააბანდოს აღნიშნული თანხები საკუთარი მიზნებისთვის.

აღნიშნული ტრანზაქციებიდან შემოსავლის აღიარებისას ბანკი, ფასს 15-ის - „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ - მოთხოვნების შესაბამისად, აფასებს, მოიპოვებს თუ არა კონტროლს შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტზე მანამ, სანამ იგი მომხმარებელს გადაეცემა.

აღნიშნული შეფასების ფარგლებში ხელმძღვანელობა ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის, აკონტროლებს თუ არა ბანკი ფასიან ქაღალდებს ტრანზაქციის შესრულებამდე, ექვემდებარება თუ არა ფასის ცვლილების რისკს და აქვს თუ არა ტრანზაქციის ფასების დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობა.

ხელმძღვანელობის შეფასებით, ასეთ შემთხვევებში ბანკი მოქმედებს როგორც აგენტი, ვინაიდან იგი არ მოიპოვებს კონტროლს ფასიან ქაღალდებზე ტრანზაქციის შესრულებამდე და არ ექვემდებარება მათთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს. შესაბამისად, შემოსავალი აღიარდება მხოლოდ გამომუშავებული საკომისიოს ოდენობით.

აღნიშნული განსჯა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლის წარდგენაზე და, შესაბამისად, წარმოადგენს მნიშვნელოვან სააღრიცხვო განსჯას.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ბანკის საქმიანობისთვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. რისკის მართვას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბანკის რენტაბელურობისათვის და ბანკის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომქვავებასა და აღმოჩენაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში. ბანკის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის, საბაზრო, საოპერაციო რისკები და სხვა არაფინანსური რისკები. ბანკის მიერ დანერგილი რისკის მართვის სისტემა საქმიანობის თითოეული მიმართულებისთვის თითოეული ტიპის რისკის დასაშვებ დონეს აწესებს და უზრუნველყოფს მის დაცვას.

აქციონერთა საერთო კრება

აქციონერთა საერთო კრება პასუხისმგებელია ბანკის რისკისადმი ტოლერანტობის ზედამხედველობაზე ბანკის მისიის, სტრატეგიის, მიზნების, ბიზნესმიმართულებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის გზით.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება საბოლოო პასუხისმგებლობა ბანკის რისკების მართვისა და შესაბამისობის ჩარჩოს ზედამხედველობაზე და მისი ბანკის სტრატეგიასთან, რისკისადმი ტოლერანტობასა და მოქმედ მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. იგი ამტკიცებს და პერიოდულად განიხილავს ძირითად რისკის პოლიტიკებს, რისკის აპეტიტსა და ტოლერანტობის დონეებს, ასევე ზედამხედველობს შიდა კონტროლებისა და რისკის მართვის მმართველობითი მექანიზმების ეფექტიანობას. სამეთვალყურეო საბჭო ასევე ხელს უწყობს ბანკში ჯანსაღი რისკისა და შესაბამისობის კულტურის დამკვიდრებას და უზრუნველყოფს სათანადო ანგარიშგების, ესკალაციისა და მარწმუნებელი მექანიზმების არსებობას.

დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ბანკის რისკების მართვის ჩარჩოს დანერგვასა და შენარჩუნებაზე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიის, რისკისადმი ტოლერანტობისა და პოლიტიკების შესაბამისად. იგი უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის ფარგლებში, მათ შორის ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების დანერგვისას, ძირითადი რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას, მონიტორინგს, კონტროლსა და ანგარიშგებას. დირექტორთა საბჭო ასევე უზრუნველყოფს ეფექტიანი შიდა კონტროლების, ესკალაციის მექანიზმების, მარეგულირებელი ანგარიშგების პროცესებისა და საქმიანობის უწყვეტობის მექანიზმების შენარჩუნებას, ამასთან ყოველდღიურ საქმიანობაში ხელს უწყობს ჯანსაღი რისკისა და შესაბამისობის კულტურის დამკვიდრებას.

რისკების კომიტეტი

ბანკს შექმნილი აქვს რისკების კომიტეტი, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წარმომადგენლებისგან. რისკების კომიტეტი ზედამხედველობს ბანკის რისკების მართვის ჩარჩოს ადეკვატურობასა და ეფექტიანობას, მათ შორის ძირითადი რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას, მართვასა და ანგარიშგებას. იგი განიხილავს რისკებთან დაკავშირებულ პოლიტიკებს, რისკისადმი ტოლერანტობასა და ლიმიტებს, აკონტროლებს რისკების მართვის ფუნქციის საქმიანობას და ხელს უწყობს ბანკში ჯანსაღი რისკის კულტურის განვითარებას. კომიტეტი საქმიანობს რისკების კომიტეტის დებულების შესაბამისად.

აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი პასუხს აგებს ბანკის რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან შესაბამისობის ზედამხედველობაზე, ასევე რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობის შემოწმებაზე ბანკის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში. იგი პასუხს აგებს რისკის ძირითად საკითხებზე და მართავს და მონიტორინგს უწყვეტ რისკთან დაკავშირებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს. აუდიტის კომიტეტს ამ ფუნქციების შესრულებაში შიდა აუდიტი ეხმარება.

შიდა აუდიტი

ბანკის აუდიტის ფუნქცია უზრუნველყოფს დამოუკიდებელ ზედამხედველობას, აფასებს რისკების კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობას და უზრუნველყოფს მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას. აღნიშნული ფუნქცია მხარს უჭერს სამეთვალყურეო საბჭოსა და აუდიტის კომიტეტს გამოვლენილი საკითხების ანგარიშგებისა და გაუმჯობესების რეკომენდაციების წარდგენის გზით. პასუხისმგებლობები და პროცესები დეტალურად განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის წესდებითა და აუდიტის დეპარტამენტის დებულებით.

სს პეივ ბანკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2025 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

ბანკი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც გულისხმობს, რომ მომხმარებელს ან კონტრაგენტს არ შეუძლია თავისი ვალდებულებების შესრულება – გადაუხდელი თანხების გადახდა. საბალანსო მუხლების საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს მათ საბალანსო ღირებულებებს.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ აქვს აღრიცხული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან ხელმძღვანელობის მოსაზრებით ბანკის ფინანსური აქტივები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის წარმოადგენს „არც გაუფასურებული და არც ვადაგადაცილებული აქტივების კატეგორიას“ და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამ აქტივებზე 0-ს უტოლდება.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება, რაც გამოწვეული იქნება ცვლილებებით საბაზრო ცვლადებში, როგორებიცაა საპროცენტო განაკვეთი და უცხოური გაცვლითი კურსი. ბანკს არ გააჩნია არსებითი საბაზრო რისკი.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი არსებითად არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან მას არ გააჩნია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები, რომლებიც ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების მატარებელია.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება გაცვლითი კურსის მერყეობის გამო.

ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია ბანკისთვის ყველაზე მაღალი რისკის მატარებელი ვალუტები, რომლებშიც ძირითადად გამოხატულია ბანკის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზის პროცესში ფასდება უცხოური ვალუტის ლარის მიმართ კურსის ცვლილების ეფექტი, როდესაც სრული შემოსავლის ანგარიშგების ყველა სხვა პირობა უცვლელია (სავალუტო კურსის მიმართ მგრძობიარე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების გამო).

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	31.12.2025
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11,295	38,347	6,948	2,998	59,588
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	23,871	-	-	23,871
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	-	24,528	5,596	-	30,124
სხვა აქტივები	56	1,134	46	-	1,236
	11,351	87,880	12,590	2,998	114,819
ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	2,581	77,602	13,070	3,040	96,293
სხვა ვალდებულებები	229	9,342	65	-	9,636
	2,810	86,944	13,135	3,040	105,929
ღია სავალუტო პოზიცია	8,541	936	(545)	(42)	

სს პეივ ბანკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2025 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	31.12.2024
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7,480	166	309	9	7,964
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	-	6	9	-	15
სხვა აქტივები	32	428	-	-	460
	7,512	600	318	9	8,439
ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	810	165	297	1	1,273
სხვა ვალდებულებები	49	-	-	-	49
	859	165	297	1	1,322
ღია სავალუტო პოზიცია	6,653	435	21	8	

სავალუტო რისკის მგრძობელობის ანალიზი

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ბანკის მგრძობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ბანკის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ბანკის ხელმძღვანელობის მიერ.

მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

გაგლენა წმინდა მოგებაზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი / აშშ დოლარი	ლარი / აშშ დოლარი	ლარი / ევრო	ლარი / ევრო	ლარი / სხვა	ლარი / სხვა
31.12.2025	20%	-20%	20%	-20%	20%	-20%
მოგება/(ზარალი)	187	(187)	(109)	109	(8)	8
31.12.2024	20%	-20%	20%	-20%	20%	-20%
მოგება/(ზარალი)	87	(87)	4	(4)	2	(2)

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ ბანკი ვერ შეძლებს გადახდის ვალდებულებების შესრულებას მათი დაფარვის ვადაში, როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში.

საქართველოს ეროვნული ბანკი ყველა ბანკისგან მოითხოვს ლიკვიდობის პოზიციის შეფასებას მის მიერ დადგენილი გარკვეული ლიკვიდობის კოეფიციენტების საფუძველზე. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი შეადგენდა 195%-ს (2024: 225%). აღნიშნული კოეფიციენტები აუდიტირებული არ არის.

სს პეივ ბანკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2025 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს ზარალის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მოვლენების გამო. როდესაც ვერ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ყველა საოპერაციო რისკის აღმოფხვრა შეუძლებელია, მაგრამ პოტენციურ რისკების სწორად განსაზღვრით და შესაბამისი კონტროლის მექანიზმების დანერგვით ბანკს შეუძლია რისკების მართვა. კონტროლის მექანიზმები უნდა ითვალისწინებდეს უფლება-მოვალეობების სწორად განაწილებას, წვდომების, უფლებამოსილებების იერარქიულ სტრუქტურებს და ოთხი თვალის პრინციპის დანერგვას, კადრებში რისკებზე ორიენტირებული კულტურის ჩამოყალიბებას, მომზადების და შეფასების პროცესებს.

დარჩენილი საკონტრაქტო ვადების ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შეჯამებულია 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით.

	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტი	31.12.2025
ვალდებულებები			
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	96,293	-	96,293
სხვა ფინანსური ვალდებულებები	7,749	1,887	9,636
სულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული პოტენციური მომავალი გადახდები	104,042	1,887	105,929
	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტი	31.12.2024
ვალდებულებები			
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	1,273	-	1,273
სხვა ფინანსური ვალდებულებები	49	-	49
სულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული პოტენციური მომავალი გადახდები	1,322	-	1,322

ფასს 13 სამართლიანი ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

სამართლიანი ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ბანკის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებსაც მოკლევადიანი დაფარვის ვადა აქვთ (3 თვეზე ნაკლები), ნავარაუდევია, რომ მათი საბალანსო ღირებულება მათ სამართლიან ღირებულებას უტოლდება.

ბანკის ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხება, რომელიც მათ მიმდინარე სამართლიან ღირებულებასთან არის მიახლოებული. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულება განსაზღვრულია პირველი დონის, ხოლო დანარჩენი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-2 დონის მიხედვით.

6. კაპიტალის მართვა

ბანკი ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას თავის ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბანკის ზედამხედველობისთვის დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

ბანკის კაპიტალის მართვის უპირველესი მიზანია მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა კაპიტალის დადგენილ მოთხოვნებთან, აგრეთვე, ბანკის მიერ ძლიერი საკრედიტო რეიტინგისა და ჯანსაღი კაპიტალის კოეფიციენტების შენარჩუნება წარმატებული ბიზნესის წარმოებისა და აქციონერთათვის დამატებითი ღირებულების უზრუნველსაყოფად.

ბანკი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით.

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

საზედამხედველო კაპიტალი შედგება პირველადი კაპიტალისაგან, რომელიც, შედგება აქციებისაგან და გაუნაწილებელი მოგებისაგან, მიმდინარე წლის მოგების/ზარალის ჩათვლით, მინუს არამატერიალური აქტივები. ფასს-ის მიხედვით მიღებული თანხები გარკვეულწილად კორექტირდება სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად.

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი ბაზელ II/III-ის მიხედვით

2017 წლის 18 დეკემბერს, სებ-მა გამოსცა და დაამტკიცა ცვლილებები კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ რეგულაციაში (გადაწყვეტილება #100/04), რომლითაც გადაიხედა მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები, რათა მოიცვას პილარ I-ის მოდელი და განსაზღვროს კაპიტალის კონსერვაციის, სისტემური რისკისა და კონტრციკლური ბუფერები (პილარ I-ის ბუფერები).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთო პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და სრული კაპიტალის კოეფიციენტები განისაზღვრებოდა 4.50%-ით, 6.00%-ითა და 8.00%-ით, შესაბამისი თანმიმდევრობით, რომლებზეც დამატებით ბანკი ვალდებული იყო შეენარჩუნებინა პილარ I-ის ბუფერები და პილარ II-ის მოთხოვნები.

ბაზელ III-ის მოთხოვნების შესაბამისად, ბანკს უნდა შეენარჩუნებინა მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი, ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი და პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 14.15%-ის, 9.26%-ისა და 11,36%-ის ოდენობით, შესაბამისად (2024 წ.: 11.96%, 7.93% and 9.66%). ბანკი შესაბამისობაში იყო აღნიშნული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან 2025 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული რეგულაციების მიხედვით, 2023 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კომერციულმა ბანკებმა მიიღეს ფასს სტანდარტები საზედამხედველო ანგარიშგებისთვის და შესაბამისობაში არიან საზედამხედველო რეგულაციებთან, ფასს სტანდარტებზე დაფუძნებული მაჩვენებლებითა და მიდგომებით.

სს პეივ ბანკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2025 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

6. კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების განგარიშება ფასს სტანდარტებზე დაფუძნებული ეროვნული ბანკის სააღრიცხვო წესებისა და კაპიტალის ადეკვატურობის ბაზელ III ჩარჩოს შესაბამისად, 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის:

	2025	2024
სააქციო კაპიტალი	8,052	8,052
გაუნაწილებელი მოგება სებ-ის რეგულ. მიხედვით	892	(629)
მინუს: არამატერიალური აქტივები	(249)	(262)
ძირითადი პირველადი კაპიტალი	8,695	7,161
სუბორდინირებული სესხები	-	-
დამატებითი პირველადი კაპიტალი	-	-
პირველადი კაპიტალი	8,695	7,161
საერთო რეზერვები	-	-
მეორადი კაპიტალი	-	-
საზედამხედველო კაპიტალი	8,695	7,161
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები სებ-ის რეგ (RWA)	38,437	2,819
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (პირვ.კაპ / RWA)	23%	254%
საზედამხ. კაპიტალის კოეფიციენტი (საზედ.კაპ / RWA)	23%	254%

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი ინარჩუნებდა სებ-ის მიერ დაწესებულ კაპიტალის კოეფიციენტების ადეკვატურობის მოთხოვნებს.

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2025	31.12.2024
ვადიანი დეპოზიტები სხვა ბანკებში		
BBB+ (Fitch Ratings-ის მიხედვით)	1,468	-
B (S&P Global-ის მიხედვით)	2,001	-
BB (Fitch Ratings-ის მიხედვით)	-	3,253
B/B (S&P Global-ის მიხედვით)	-	3,005
სულ დეპოზიტები სხვა ბანკებში	3,469	6,258
ანგარიშები სებ-ში	9,252	381
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში		
AAA (Fitch Ratings-ის მიხედვით)	40,683	-
BB (Fitch Ratings-ის მიხედვით)	4,200	1,285
რეიტინგის გარეშე	1,984	40
სულ მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	46,867	1,325
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	59,588	7,964

საბანკო ანგარიშებზე ფულადი სახსრების ნაშთი კლასიფიცირებულია რისკის გარეშე, იმის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც ბანკს აქვს არსებითი ნაშთები მიმდინარე ანგარიშებზე, საიმედო და ცნობილი საკრედიტო ინსტიტუტებია.

ხარისხობრივი ინფორმაცია ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შესახებ მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით „Fitch Ratings“-ის მიხედვით საქართველოს მთავრობის გრძელვადიანი უცხოური და ადგილობრივი ვალუტის ემიტენტის დეფოლტის რეიტინგები (IDRs) უცხოურ და ადგილობრივ ვალუტაში, განსაზღვრულია 'BB' უარყოფითიდან სტაბილურისკენ (2024: 'BB'). (ემიტენტის რეიტინგები საქართველოს უფროს არაუზრუნველყოფილ ობლიგაციებზე უცხოურ და ადგილობრივ ვალუტაში ასევე დადასტურებულია „BB“ რეიტინგით უარყოფითიდან სტაბილურისკენ (2024: 'BB'). ქვეყნის ზედა ზღვარი დადასტურებულია როგორც 'BBB-' (2024: 'BBB-') და მოკლევადიანი უცხოური ვალუტაში ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი 'B'-თი (2024: 'B').

სს პეივ ბანკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2025 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

8. სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში („სებ“) წარმოადგენს სებ-ში განთავსებულ თანხებს. რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტები ვალდებული არიან სებ-ში შეინარჩუნონ სავალდებულო რეზერვები საპროცენტო ვალდებულებებზე, რომელთა ოდენობა დამოკიდებულია ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოზიდული სახსრების მოცულობაზე.

სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში შეადგენს 30,124 ათას ლარს 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 15 ათასი ლარი) და წარმოადგენს „არც გაუფასურებული და არც ვადაგადაცილებული აქტივების კატეგორიას“.

9. სხვა აქტივები

	31.12.2025	31.12.2024
საგარანტიო დეპოზიტი*	946	-
მოთხოვნები რწმუნებულის/შუამავლის მომსახურებიდან	134	-
სავაჭრო მოთხოვნები	128	-
გაცემული ავანსები	124	39
მოთხოვნა ჰოლდინგური კომპანიის მიმართ	-	428
სხვა აქტივები	28	32
	1,360	499

(*) - საგარანტიო დეპოზიტი წარმოადგენს თანხებს, რომლებიც ბანკმა გადარიცხა სერვის პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, აღნიშნული პროვაიდერის პროდუქტებითა და მომსახურებით სარგებლობის უფლების მისაღებად.

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, გადარიცხული თანხები ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში რჩება კონტრაქტის განკარგულებაში და გამოყენებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ბანკი ვერ შეძლებს ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილი მიმდინარე ვალდებულებების დაფარვას.

ხელშეკრულების დასრულებისას ბანკს უფლება აქვს დაიბრუნოს აღნიშნული თანხები სრულად, იმ შემთხვევაში თუ ყველა სახელშეკრულებო ვალდებულება იქნება შესრულებული და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აღარ იარსებებს დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის შესაძლებლობა.

ხელმძღვანელობის შეფასებით 31.12.2025 და 31.12.2024 მდგომარეობით სხვა აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითია და ამიტომ არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

10. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

	31.12.2025	31.12.2024
აშშ-ის სახაზინო ობლიგაციები	23,871	-
	23,871	-
	2025	2024
1 იანვრის მდგომარეობით	-	-
შესყიდვა	58,360	-
დაფარვა	(34,676)	-
საპროცენტო სარგებელი	505	-
გადაფასება	(318)	-
31 დეკემბრის მდგომარეობით	23,871	-

აშშ-ს სახაზინო ობლიგაციები ხასიათდება ძალიან დაბალი საკრედიტო რისკით, გამოდინარე ემიტენტების მაღალი საკრედიტო ხარისხიდან, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოდან და მათი სუვერენული საკრედიტო რეიტინგებიდან. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების ქვეყნის რეიტინგი სარეიტინგო სააგენტო FITCH-ის მიხედვით AA+-ს შეადგენს.

სს პეივ ბანკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2025 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

10. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობის შეფასებით, საანგარიშგებო თარიღისთვის აღნიშნულ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული დეფოლტის რისკი უმნიშვნელოა. შესაბამისად, ბანკი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ინსტრუმენტები აკმაყოფილებს დაბალი საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების კრიტერიუმებს. ბანკმა შეაფასა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაძლო გავლენა და დაადგინა, რომ მისი ოდენობა ფინანსური ანგარიშგებისთვის არამატერიალურია. შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდში ბანკს არ უღიარებია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი საინვესტიციო ფასიან ქაღალდებთან მიმართებით.

11. ვალდებულებები კლიენტების მიმართ

კლიენტთა ანგარიშები მოიცავს შემდეგი ტიპის კლიენტების ანგარიშებს:

	31.12.2025	31.12.2024
იურიდიული პირები	96,293	1,273
ფიზიკური პირები	-	-
	96,293	1,273

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტთა ანგარიშებში ასახული ხუთი უმსხვილესი კლიენტის ნაშთები შეადგენს მთლიანი ნაშთების 40%-ს (2024 წლის 31 დეკემბერი: 99.6%).

12. სხვა ვალდებულებები

	31.12.2025	31.12.2024
სხვა ვალდებულებები საბარათე ოპერაციებიდან*	8,759	-
დარიცხული ხარჯები	502	-
სავაჭრო ვალდებულებები	316	49
გადავადებული შემოსავალი	188	-
სხვა	59	-
	9,824	49

(*) - სხვა ვალდებულებები საბარათე ოპერაციებიდან წარმოადგენს ბანკის მიერ ხელშეკრულების ფარგლებში მიღებულ თანხებს, რომლებიც განკუთვნილია ბანკის საბარათე ოპერაციებითა და მომსახურებებით სარგებლობის უფლების უზრუნველსაყოფად. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, აღნიშნული თანხები ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში რჩება ბანკის განკარგულებაში და შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის პარტნიორი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიმდინარე ვალდებულებებს.

ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, პარტნიორს უფლება აქვს მიიღოს აღნიშნული თანხების წმინდა ანაზღაურება, იმ პირობით, რომ ყველა სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულებულია და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის შესაძლებლობა არ არსებობს.

სავაჭრო ვალდებულებები არის უპროცენტო და ექვემდებარება მოთხოვნისთანავე დაფარვას. მათი საბალანსო ღირებულება უტოლდება სამართლიან ღირებულებას, მოკლევადიანი ვადის გამო.

13. კაპიტალი

2024 წლის განმავლობაში სააქციო კაპიტალი გაიზარდა თავდაპირველად 3,000,000 ცალი, შემდეგ კი 52,000 ცალი ახალი ჩვეულებრივი აქციის გამოშვების გზით. აქციების ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს. ახალი აქციების სრულად განთავსება მოხდა ბანკის აქციების 100%-იანი წილის მფლობელის Paving the Way Pte. Ltd -ზე.

2025 წლის განმავლობაში სააქციო კაპიტალში ცვლილება არ ყოფილა.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სააქციო კაპიტალი შედგება 8,052,000 ავტორიზებული სრულად გადახდილი აქციებისგან. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს.

სს პეივ ბანკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2025 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

14. საპროცენტო შემოსავალი

	2025	2024
საპროცენტო შემოსავალი ფინანსური ინსტიტუტებიდან	1,210	480
საპროცენტო შემოსავალი ფასიანი ქაღალდებიდან	505	-
საპროცენტო შემოსავალი ეროვნული ბანკიდან	166	9
	1,881	489

15. საკომისიო შემოსავალი

	2025	2024
საკომისიო შემოსავალი		
საანგარიშგებო ოპერაციები	4,810	52
საბარათე ოპერაციები	1,103	-
სხვა	5	-
სულ საკომისიო შემოსავალი	5,918	52
საკომისიო ხარჯი		
საანგარიშგებო ოპერაციები	1,705	8
საბარათე ოპერაციები	383	-
სხვა	25	-
სულ საკომისიო ხარჯი	2,113	8
წმინდა საკომისიო შემოსავალი	3,805	44

16. სხვა შემოსავალი

2025 წლის სხვა შემოსავალი შედეგება ბანკის მშობელი კომპანიისთვის და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსთვის გაწეული საკონსულტაციო, ტექნიკური, ოპერაციული, ადმინისტრაციული და სხვა მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავლისგან ჯამური ღირებულებით 620 ათასი ლარი (2024: 498 ათასი ლარი).

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2025	2024
შრომის ანაზღაურების ხარჯი	(2,446)	(756)
პროფესიული მომსახურების ხარჯები*	(1,387)	(903)
სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯი	(372)	-
მოკლევადიანი იჯარის ხარჯი	(225)	(149)
სხვა საგადასახადო ხარჯები	(201)	(78)
დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს გადასახადის და რეზოლუციის ფონდში შენატანების ხარჯი	(20)	(100)
სხვა ხარჯი	(89)	(28)
	(4,740)	(2,014)

(*) – 2025 წლის პროფესიული მომსახურების ხარჯი მოიცავს აუდიტის ხარჯს 97 ათასი ლარის ღირებულებით (2024: 64 ათასი ლარი).

სს პეივ ბანკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2025 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. ბანკისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	კავშირი	31.12.2025	31.12.2024
სხვა აქტივები	მშობელი კომპანია	-	428
ვალდებულებები	მშობელი კომპანია	347	167
კლიენტების მიმართ*			
ვალდებულებები	საერთო კონტროლს	40	-
კლიენტების მიმართ*	დაქვემდებარებული კომპანია		

(*) - 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის მშობელ კომპანიას და საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიას ბანკში გახსნილი ჰქონდათ მიმდინარე ანგარიშები (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - ბანკის მშობელ კომპანიას), რომელსაც არ ერიცხებოდა საპროცენტო სარგებელი.

სრული შემოსავლის ანგარიშგება	კავშირი	2025	2024
სხვა შემოსავალი	მშობელი კომპანია	400	498
სხვა შემოსავალი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანია	220	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	მშობელი კომპანია	(690)	(302)
საპროცენტო ხარჯი	მშობელი კომპანია	(44)	-

სს პეივ ბანკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2025 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

19. გარე საბალანსო აქტივები და ვალდებულებები

2025 წლიდან ბანკი მომხმარებლებს სთავაზობს საინვესტიციო საბროკერო/სააგენტო მომსახურებას, რომლის ფარგლებშიც იგი მოქმედებს როგორც რწმუნებული და შუამავალი მომხმარებლების მიერ განსაზღვრული საინვესტიციო ტრანზაქციების შესრულებისას. აღნიშნული პროდუქტის ფარგლებში:

- მომხმარებლები ბანკს ურიცხვან თანხებს კონკრეტულ საინვესტიციო ინსტრუმენტებში განსათავსებლად;
- თითოეული ტრანზაქცია ხორციელდება მხოლოდ მომხმარებლის მკაფიო და ინდივიდუალური მითითების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ინსტრუმენტს, თანხას, ვადასა და სხვა პარამეტრებს;
- ბანკს არ აქვს დისკრეტია, გამოიყენოს, გადაამისამართოს ან დააბანდოს აღნიშნული თანხები საკუთარი მიზნებისთვის.

შესაბამისად, მომხმარებლების სახელით მართული საინვესტიციო აქტივები არ აღიარდება ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და წარმოდგენილია გარესაბალანსო მუხლად:

	2025	2024
აშშ დოლარში განთავსებული ანგარიშები	64,758	-
ევროში განთავსებული ანგარიშები	16	-
	64,774	-

20. პირობითი ვალდებულებები

ეროვნული ბანკის მოთხოვნები - 2025 წლის თებერვლიდან საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე ბანკი გადავიდა ლიცენზირების მესამე ეტაპზე და განესაზღვრა კონკრეტული მოთხოვნები, რომლებიც ბანკმა ეტაპობრივად უნდა დააკმაყოფილოს. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი აღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა.

იურიდიული საკითხები - 2025 და 2024 წელს ბანკს არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობა იყენებს შიდა და გარე პროფესიონალების კონსულტაციებს და მიიჩნევს, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ბანკის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ბანკს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ბანკის ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ბანკის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

სს პეივ ბანკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2025 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კაპიტალის გაზრდა

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, მოცემული ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე, კომპანიამ გამოუშვა 12,000,000 ჩვეულებრივი აქცია, საიდანაც მოხდა 8,525 ათასი ლარით კაპიტალის განადგება. შედეგად, ბანკის განთავსებული კაპიტალი შეადგენს 20,052 ათას ლარს, რომლიდანაც განადგებულია 16,577 ათასი ლარი.

საბანკო ლიცენზიის მე-4 ეტაპზე გადასვლა

2026 წლის 11 მარტს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაადასტურა, რომ ბანკმა წარმატებით დაასრულა ციფრული ბანკის ლიცენზირების პროცესის მესამე ეტაპი და დაამტკიცა ბანკის გადასვლა მეოთხე ეტაპზე, რომელიც წარმოადგენს ციფრული ბანკის ლიცენზირების ჩარჩოს საბოლოო ეტაპს.

ყველა შესაბამისი პირობის დადგენილ ვადაში შესრულების შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ ბანკი ციფრული ბანკის ლიცენზირების ჩარჩოდან გადავა ჩვეულებრივ საბანკო ლიცენზიაზე.

P A V E B A N K

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

2025

მმართველობის ანგარიშგება

შინაარსი

01	ზოგადი ინფორმაცია და ბანკის საქმიანობის ანალიზი	33
02	მმართველობა	33
03	ინფორმაცია ბანკის ფილიალებთან დაკავშირებით	39
04	ორგანიზაციის მომავალი განვითარების გეგმები	39
05	კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	39
06	საკუთარი აქციების გამოსყიდვა	39
07	რისკების მართვა	40
08	ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	42
09	არაფინანსური მაჩვენებლები	44
10	დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	44

01 ზოგადი ინფორმაცია და ბანკის საქმიანობის ანალიზი

სს "პეივ ბანკ ჯორჯია" (შემდგომში „ბანკი“) დაფუძნდა 2023 წლის 14 მარტს. თავდაპირველად ის რეესტრში დარეგისტრირდა როგორც სს პეივ ჯორჯია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საიდენტიფიკაციო ნომრით: 404668436. 2024 წლის 5 თებერვლიდან ბანკი ფუნქციონირებს, როგორც სს პეივ ბანკ ჯორჯია.

ბანკი ფუნქციონირებს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის ლიცენზიით. 2023 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სს „პეივ ბანკ ჯორჯიაზე“ ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპების გათვალისწინებით საბანკო საქმიანობის ლიცენზია გასცა. 2024 წლის 12 ივლისს ეროვნულმა ბანკმა სს „პეივ ბანკ ჯორჯიას“ ოპერაციების რეალურ გარემოში განხორციელების უფლება მიანიჭა. საქართველოს ეროვნული ბანკის 2025 წლის 11 თებერვლის განკარგულების საფუძველზე ბანკი გადავიდა ლიცენზირების მე-3 ეტაპზე, ხოლო 2026 წლის 11 მარტის განკარგულების საფუძველზე ბანკი გადავიდა ლიცენზირების მე-4 ეტაპზე.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქ., N14.

02 მმართველობა

ბანკის მმართველობითი ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და ბანკის დირექტორატი. აქციონერთა საერთო კრება ბანკის უმაღლესი მმართველი ორგანოა, რომელიც ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს. თავის მხრივ, ბანკის საქმიანობაზე ზედამხედველობა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ხოლო ყოველდღიური საქმიანობის მენეჯმენტი და ადმინისტრირება ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არჩეული დირექტორთა საბჭოს მიერ. დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი.

ბანკის კორპორაციული მართვის ჩარჩო სრულად შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულ კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსს (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის №215/04 ბრძანება, შემდგომში – „სებ-ის კორპორაციული მართვის კოდექსი“). სებ-ის კორპორაციული მართვის კოდექსი გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნესა და საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე და ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას.

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ბანკი სრულად იყენებდა სებ-ის კორპორაციული მართვის კოდექსს და მისი დებულებებიდან გადახვევები არ გამოვლენილა.

აქციონერთა კრება

ბანკის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა კრება. აქციონერთა წლიური საერთო კრება მოწვეული უნდა იქნას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ყოველწლიურად, საზოგადოებას საბუღალტრო დოკუმენტაციის წლიური გარე აუდიტის დასრულების შემდეგ არაუგვიანეს 2 (ორი) თვისა.

აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია და კვორუმი შემდგარია, თუ კრებას ესწრება არანაკლებ 70% (სამოცდაათი პროცენტი) აქციების მფლობელი აქციონერ(ებ)ი. თუ აქციონერთა საერთო კრება არ შედგა, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, იმავე დღის წესრიგით და საბჭოს მიერ დამტკიცებულ ვადაში მოიწვევა ახალი კრება მოქმედი კანონმდებლობის პროცედურების შესაბამისად. აქციონერთა ასეთი საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრე (ან მათი წარმომადგენლების) რაოდენობის მიუხედავად.

ბანკის წესდების თანახმად, თუკი საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საერთო

კრება განიხილავს და არანაკლებ ხმების 75%-ით იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე: წესდებაში ცვლილებების შეტანა, საზოგადოებას საქმიანობის შეცვლა, კაპიტალთან დაკავშირებული საკითხები, აქციათა გამოყენება უზრუნველყოფის საშუალებად, რეორგანიზაცია, შერწყმა, სხვა კომპანიის შეძენა, გაკოტრების ან ლიკვიდაციის წარმოების დაწყება, ბანკის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება, აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის გასხვისება, დივიდენდების გადახდა, გარე აუდიტორების შერჩევა, სამეთვალყურეო საბჭოს დაშლა და წევრების არჩევა/დათხოვნა, ანაზღაურების განსაზღვრა და მონათესავე საწარმოებთან გარიგებების დამტკიცება.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციონერი არის:

აქციონერი	მისამართი	საიდენტ. N	აქციათა რაოდენობა	ნებად. %	განთავ ს. %
Paving The Way Pte Ltd	160 Robinson Road, N19-08, Singapore (068914)	202237938C	8,052,000	100%	100%

საბოლოო ბენეფიციარი	31.12.2025	31.12.2024
ომარ-სალიმ დანანი	63.79%	65.00%
საიმონ ჯეიმს ვანს-კოლინა	15.12%	20.00%
დმიტრი ბოჩაროვი	11.10%	15.00%
სხვა	9.99%	0.00%
სულ	100.00%	100.00%

სამეთვალყურეო საბჭო

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო შედგება 4 (ოთხი) წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გადარჩევა/გადაყენება ხდება აქციონერთა საერთო კრების მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს ერთ მესამედს, მაგრამ არანაკლებ ორ წევრს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი წევრის სტატუსი, საიდანაც ერთის არჩევა უნდა მოხდეს აქციონერთა საერთო კრების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით. თუ ეს სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული აქციონერთა საერთო კრების მიერ, სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა არაუმეტეს 3 (სამი) წლით, თუმცა მისი უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგ, მორიგი აქციონერთა საერთო კრების მოწვევამდე.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები უნდა გაიმართოს სულ მცირე კვარტალში ერთხელ მაინც, საზოგადოებას მისამართზე ან ნებისმიერ სხვა ადგილას ან ელექტრონულად, რომელსაც განსაზღვრავს თავმჯდომარე. საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა შეიძლება გაიმართოს საბჭოს წევრთა პირადი დასწრებით, ტელეფონით, ვიდეო ზარით, წარმომადგენლის მეშვეობით, ფაქსით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით.

სამეთვალყურეო საბჭო შემდგარად ითვლება და მას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ სხდომას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია წევრთა უმრავლესობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განიხილება დაკავშირებულ პირთან გარიგების დამტკიცება, რაც საჭიროებს იმ წევრთა არანაკლებ ორი მესამედის თანხმობას, რომელთაც არ გააჩნიათ ინტერესთა კონფლიქტი.

თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს უბრალო უმრავლესობით საზოგადოების კორპორაციული მართვის დებულების დამტკიცებაზე,

აქციონერთა საერთო კრებისთვის წარსადგენი წინასწარი რეკომენდაციების გაცემაზე, თავმჯდომარის არჩევაზე, აქციონერთა კრებების მოწვევაზე, აუდიტორების ანაზღაურებაზე რეკომენდაციებზე, დირექტორთა საბჭოს გეგმების დამტკიცებაზე, მმართველი გუნდის საქმიანობის კვარტალურ შეფასებაზე, ფილიალებისა და სერვის-ცენტრების შექმნა-ლიკვიდაციაზე და სხვა საქმიანობაზე, რომელიც შესაძლოა მოითხოვდეს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას.

ორი მესამედის უმრავლესობით მიიღება გადაწყვეტილებები გენერალური დირექტორისა და დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნაზე, უძრავი ქონების შეძენაზე/გასხვისებაზე 1,000,000 ლარის ზევით, ფინანსური სახსრების მოზიდვაზე ანალოგიური ზღვრის ზევით, ახალი საბანკო საქმიანობის წამოწყებაზე, მონათესავე საწარმოებთან გარიგებების დამტკიცებაზე, ბიზნეს სტრატეგიის განსაზღვრაზე და წლიური ბიუჯეტის დამტკიცებაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები

◆ ეინურ ბუტია

ეინურ ბუტია ფლობს მაგისტრის ხარისხს საერთაშორისო ფინანსებში HAUTES ETUDES COMMERCIALES-დან (პარიზი, საფრანგეთი) და ინჟინერიის ხარისხს (წარჩინებით) Télécom Paris-დან. JPMorgan-ში მუშაობის 20-წლიანი პერიოდის განმავლობაში ბ-ნმა ბუტიამ დიდი ცოდნა დააგროვა აქტივების სხვადასხვა კლასებში, რაც მოიცავს საკრედიტო პროდუქტებს, ფასიან ქაღალდებს, ახალ ბაზრებს, სასაქონლო ბირჟებსა და სტრუქტურულ ფინანსებს. JPMorgan-ში მუშაობის განმავლობაში მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფონდთან დაკავშირებული ბიზნესების რეპოზიციონირებაში, რამაც განაპირობა JPMorgan-ის მიერ მსოფლიო მასშტაბით დახურული ფონდებისთვის უზრუნველყოფილი ფინანსების წამყვანი მიმწოდებლის ადგილის დაკავება.

JPMorgan-ში მუშაობის გამოცდილების გარდა ბ-ნმა ბუტიამ შეიძინა მრავალჯგუფიანი ოფისი, რომელიც აერთიანებს პერსონალურ ინვესტიციებსა და ფინანსურ საქმიანობას. მან საკონსულტაციო მომსახურება გაუწია ადმინისტრაციულ დირექტორებსა და მსოფლიო ლიდერებს კორპორაციულ სტრატეგიასა და პირად ქონებაზე. მისი კარიერის მანძილზე ბ-ნმა ბუტიამ დააგროვა უნარების ფართო წრე, რაც მოიცავს ტრანზაქციის მართვას, კლიენტთან მოლაპარაკებების წარმოებას, შესაძლებლობების მოძიებას, სტრუქტურირებას, საკრედიტო და საბაზრო რისკების მართვას, რეგულატორულ შესაბამისობასა და ფინანსური რესურსების მართვას.

◆ რეიჩელ მარინ ფრიმენი

რეიჩელ მარინ ფრიმენის განათლება მოიცავს პროფესიული განვითარების პროგრამას კენედის სახელმწიფო სკოლაში (პარვარდის უნივერსიტეტი), მიჩიგანის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის მაგისტრის ხარისხს ბიზნეს ადმინისტრირებაში და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხს (წარჩინებით) მიდლბარის კოლეჯიდან.

ქ-ნი ფრიმენი ფლობს საგულისხმო გამოცდილებას ფინანსური ინიციატივების მართვასა და ხელმძღვანელობაში. 2014-2019 წლებში ის იკავებდა ცნობილი ორგანიზაციის ფინანსური ინსტიტუტების ჯგუფის ფარგლებში აზიის წყნარი ოკეანის საკონსულტაციო განყოფილების მენეჯერის პოზიციას ჰონგ კონგში, სადაც ხელმძღვანელობდა საკონსულტაციო მომსახურების გაწევას საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) კავშირის მქონე კლიენტებისათვის. ის წარმოადგენდა ფინანსური ხელმისაწვდომობის პოპულარიზაციის ლიდერს, რომელმაც შეიმუშავა ინოვაციური სტრატეგიები ისეთ სფეროებში, როგორცაა ციფრული ბანკინგი, ბანკ-ფინტექის კოლაბორაცია, მწვანე ფინანსები და მცირე და საშუალო ბიზნესების ფინანსები.

საკუთარი ფუნქციების შესრულებისას ქ-ნმა ფრიმენმა ეფექტიანად უხელმძღვანელა IFC-ის სამუშაო ძალას — 100-ზე მეტი პირისგან შემდგარ მრავალფეროვან ჯგუფს, რომელიც შედამხედველობას უწევდა 70 მილიონ აშშ დოლარად შეფასებულ მნიშვნელოვან საკონსულტაციო პროტექტს. 2008-2012 წლებში ის მუშაობდა ცენტრალურ აზიაში ოპერაციების უფროსი ოფიცრის თანამდებობაზე, რომელშიც შედიოდა აგრობიზნესისა და მცირე საწარმოებისთვის ინვესტიციების ხელშეწყობასა და მართვა. ამ პერიოდში მან მნიშვნელოვნად გაზარდა აგრობიზნესის პროტექტული 13 მილიონ აშშ დოლარამდე. 2004-2008 წლებში ის იკავებდა აფრიკაში ფინანსებთან წვდომისთვის რეგიონალური ბიზნეს ხაზის ლიდერის თანამდებობას იოჰანესბურგში, სადაც უხელმძღვანელა 20 პროფესიონალისგან შემდგარ გუნდს.

◆ **კახაბერ კიკნაველიძე**

კახაბერ კიკნაველიძის გამოცდილება ფინანსურ სექტორში აღემატება 20 წელს. წლების განმავლობაში ის იკავებდა სხვადასხვა წამყვან პოზიციებს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. მან გადააჭარბა ბანკის ძირითადი შესრულების მიზნებს სასესო პორტფელის ორნიშნა და კაპიტალის 20%+ ზრდით ყოველ სამ წელიწადში. 2016-2019 წლებში ბ-ნი კიკნაველიძე ზედამხედველობას უწევდა ფინანსური და არაფინანსური ბიზნესთა ჯგუფების დაყოფას და ამასთან მოიზიდა პირველი ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული ევრობონდები 500 მლნ-ის ოდენობით. ამ პერიოდში მან აგრეთვე შეიმუშავა და ამოქმედა სრულიად გადამუშავებული, თანამედროვე მობილური ბანკინგის პლატფორმა ბანკის 2.1 მილიონი მომხმარებლისთვის.

2008-2016 წლებში ის იკავებდა საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობას და როგორც დამოუკიდებელი დირექტორი, მონაწილეობას იღებდა ბანკის განვითარების მიმართულებასთან დაკავშირებულ ყველა სტრატეგიულ გადაწყვეტილებაში, ზედამხედველობდა შიდა აუდიტს და რისკის ფუნქციებს და ურთიერთობას გარე აუდიტორებთან, როგორც აუდიტისა და რისკის კომიტეტების წევრი. პარალელურად, ის იკავებდა RIONI CAPITAL PARTNERS-ის (ლონდონი) მმართველი პარტნიორისა და ინვესტიციების უფროსი ოფიცრის პოზიციას. ბ-ნი კიკნაველიძეს განათლება მიღებული აქვს ემორის უნივერსიტეტში (აშშ) — მაგისტრის ხარისხი ფინანსებში, ხოლო საქართველოს აგრარული უნივერსიტეტში — ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი.

◆ **ანურადჰა სუდჰირ ფანსე**

ქალბატონი ანურადჰა სუდჰირ ფანსე გახლავთ შესაბამისობისა და რისკების მართვის უფროსი პროფესიონალი, ფინანსური მომსახურების სექტორში მუშაობის 20-წლიანი გამოცდილებით. მისი ექსპერტიზა მოიცავს ციფრულ გადახდებს, კაპიტალის ბაზრებს, აქტივების მართვასა და დაზღვევას. სხვადასხვა დროს ის საქმიანობდა ისეთ წამყვან ორგანიზაციებში, როგორებიცაა: Coinbase, Revolut, Swissquote და Eastspring Investments.

ამჟამად ის იკავებს შესაბამისობის კონტროლისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის უფროსი ოფიცრის (MLRO) პოზიციას „Coinbase Singapore“-ში. მის მოვალეობებში შედის „საგადახდო მომსახურების შესახებ“ კანონთან (Payment Services Act) შესაბამისობის უზრუნველყოფა, ფინანსური დანაშაულის პრევენციის მექანიზმების ზედამხედველობა და სინგაპურის ფულად-საკრედიტო სამმართველოსთან (MAS) თანამშრომლობა. გარდა ამისა, ის ხელმძღვანელობს სინგაპურის შესაბამისობის ზედამხედველობის სამუშაო ჯგუფს და წვლილი შეაქვს ინდუსტრიის მარეგულირებელ ინიციატივებში. მანამდე ქალბატონი ფანსე „Revolut Singapore“-ის შესაბამისობის განყოფილებისა და MLRO-ს პოზიციას ხელმძღვანელობდა.

ქალბატონი ფანსე ფლობს დიპლომირებული ბუღალტრის (Chartered Accountant) კვალიფიკაციას, ბაკალავრის ხარისხს კომერციაში და პროფესიულ სერტიფიკატებს კორპორაციული მართვისა და შესაბამისობის სფეროში. მისი გამოცდილება მნიშვნელოვნად აძლიერებს სამეთვალყურეო საბჭოს კოლექტიურ კომპეტენციას მარეგულირებელ შესაბამისობაში, ფინანსური დანაშაულის პრევენციასა და კორპორაციულ მართვაში.

დირექტორატი

ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს დირექტორთა საბჭო, რომლის საქმიანობასაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. ბანკის დირექტორთა საბჭო:

- ▶ წარმართავს და ახორციელებს ბანკის მიმდინარე საქმიანობას.
- ▶ წინასწარ განიხილავს ბანკის აქციონერთა ან სამეთვალყურეო საბჭოს კრებების დღის წესრიგში შეტანილ ყველა საკითხს, აშუადებს სათანადო ინფორმაციას, წინადადებებს და მათზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტებს.
- ▶ ფინანსური წლის დასრულებისას აშუადებს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს მომავალი წლის ბიზნეს გეგმას, რაც მოიცავს წლიურ ბიუჯეტსა და მოგება-ზარალის გაანგარიშებას, აგრეთვე ბანკის საინვესტიციო გეგმას.

- ▶ მეთვალყურეობას უწევს ბანკის მიერ ისეთი პროცედურების შესრულებას, როგორებიცაა გასესხება, ანგარიშსწორება, დაფინანსება, ნაღდ ფულთან დაკავშირებული მომსახურება, გარანტია, ანგარიშების შედგენა, შიდა კონტროლი და ბანკის ყველა ძირითადი საქმიანობის ზედამხედველობა.
- ▶ მეთვალყურეობას უწევს ბანკის ფილიალების და სერვის ცენტრების ფუნქციონირებას და უზრუნველყოფს ყველა მმართველის მიერ საკუთარი ამოცანებისა და ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას.
- ▶ განიხილავს გარე და შიდა აუდიტის შედეგად მოწოდებულ ინფორმაციას, ფილიალების მმართველების და სერვის ცენტრების ხელმძღვანელების მიერ მოწოდებულ ანგარიშებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.
- ▶ უზრუნველყოფს აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს კრებების გადაწყვეტილებების შესრულებას.
- ▶ შეიმუშავებს ბანკის პოლიტიკებს, წესებს, შინაგანაწესს და ნებისმიერ სხვა მარეგულირებელ დოკუმენტს და მათ დასამტკიცებლად წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს.
- ▶ იღებს გადაწყვეტილებებს პერსონალის შერჩევის, კვალიფიკაციის ამაღლების, დასაქმების და ანაზღაურების საკითხებზე.
- ▶ გადაწყვეტილებას იღებს ნებისმიერ სხვა საკითხზე, რომელიც დროდადრო შესაძლოა დაევალოს დირექტორთა საბჭოს სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერთა საერთო კრების მიერ.

დირექტორატის გუნდის წევრების ბიოგრაფიები

◆ გენერალური დირექტორი – ომარ-სალიმ დანანი

ომარ-სალიმ დანანი გამოცდილი ლიდერი და მეწარმეა 15 წელზე მეტი გამოცდილებით. ის გამოცდილი ფინტექ, საბანკო და გადასდების ანტირეპრენერია, რომელიც ფლობს ფართო გამოცდილებას დაფინანსების მოპოვებაში, ბიზნესისა და პროდუქტის მართვაში, ოპერაციებში, პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებაში, რისკების მართვასა და მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობაში. მისი ძირითადი კომპეტენციებია საცალო და კომერციული ბანკინგი, რისკების მართვა, კორპორაციული მმართველობა, კაპიტალის მართვა, ფინანსური რეგულაციები, ბიზნესის მასშტაბირება და მოლაპარაკებები.

პროფესიული გამოცდილება

- ▶ **Pave Bank (CEO და თანადამფუძნებელი):** ამჟამად აშენებს ციფრულ ბანკს, რომელიც ფოკუსირებულია პროგრამირებადი ფულისა და ჭკვიანი კონტრაქტების გამოყენებაზე, რაც მიზნად ისახავს გლობალური საბანკო სექტორის რევოლუციას. ააშენა ბიზნესი ნულიდან და ხელმძღვანელობდა სახსრების მოზიდვას, უზრუნველყო აზიაში ყველაზე დიდი წინასწარი დაფინანსება ჩრდილოეთ ამერიკის, ევროპისა და აზიის წამყვანი გლობალური ინვესტორებისგან.
- ▶ **BigPay Group (CEO, აღმასრულებელი თავმჯდომარე და თანადამფუძნებელი):** შექმნა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ყველაზე დიდი ნეობანკი, რომელმაც გააფართოვა ოპერაციები სინგაპურში, მალაიზიაში, ტაილანდსა და ფილიპინებში. მოიზიდა 165 მილიონ დოლარზე მეტი სააქციო კაპიტალი. ბიზნესი შეიძინა KLSE-ში შემავალმა კომპანია Capital A-მ.
- ▶ **Carta Worldwide (EMEA რეგიონის ბიზნესის განვითარების ხელმძღვანელი):** ხელმძღვანელობდა კომერციულ ზრდას EMEA რეგიონში, რაც მოიცავდა 450%-იან შემოსავლების ზრდას 2.5 წელიწადში. ბიზნესი შეიძინა NASDAQ-ის სიაში შესულმა ფირმა Mogo-მ.
- ▶ **მსოფლიო ბანკის ჯგუფი (პროგრამის ანალიტიკოსი):** მუშაობდა ლათინურ ამერიკაში ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე, რაც ფოკუსირებული იყო ქონებრივი უფლებების ფორმალიზებასა და რეგიონალური პროექტების დეცენტრალიზაციაზე.

◆ გენერალური დირექტორის მოადგილე, რისკების დირექტორი – დმიტრი ბოჩაროვი

დმიტრი ბოჩაროვი არის ფინტექისა და საბანკო სფეროს ექსპერტი 20-წლიანი გამოცდილებით ციფრული პროდუქტის

განვითარებაში, ოპერაციებში და რისკების მართვაში. მისი ძირითადი აქცენტი არის ტრადიციული და ციფრული საბანკო გადაწყვეტილების შერწყმა, რათა მოწინავე ფინანსური სერვისები მიაწოდოს ბაზარს. დამირი ხელმძღვანელობდა გარდამტეხ პროექტებს როგორც ევროპაში, ისე აზიაში — სპეციალიზებული ფინტექ სტრატეგიებში, პროდუქტების მართვასა და ციფრული საბანკო ინიციატივებში.

პროფესიული გამოცდილება

- ▶ **Pave Bank (CRO და თანადამფუძნებელი):** ამჟამად აშენებს ციფრულ ბანკს, რომელიც ფოკუსირებულია პროგრამირებადი ფულისა და ჭკვიანი კონტრაქტების გამოყენებაზე.
- ▶ **BigPay Group (Chief Product Officer, Head of Lending, Chief Commercial Officer):** ხელმძღვანელობდა პროდუქტების განვითარებას გადასდების, ციფრული აქტივების, საერთაშორისო გზავნილებისა და სესხების მიმართულებით. წვლილი შეიტანა BigPay-ის წარმატებულ 100 მილიონი დოლარის ინვესტიციის რაუნდში.
- ▶ **VPBank (Chief Digital Officer, Head of Digital Lab, Head of Lending):** მართავდა ციფრული სტრატეგიისა და ტრანსფორმაციის პროცესებს, რამაც ვიეტნამში გამოიწვია ციფრული ბანკინგის მნიშვნელოვანი ზრდა. მიღწევები მოიცავს 94%-იან საცალო ტრანზაქციების გადატანას ციფრულ პლატფორმებზე.
- ▶ **Ferratum Group (Country Manager):** ხელმძღვანელობდა ციფრული სესხების გაფართოებას, რისკების მართვის გაუმჯობესებას და დაკრედიტების 300%-ით ზრდას.
- ▶ **HSBC (Deputy Head of Affiliate / Head of Retail Business):** დაიწყო HSBC-ის საცალო ბიზნესის ჩამოყალიბება და მიაღწია უმაღლეს რეიტინგებს მომსახურების მიწოდებაში.

დამირის კარიერა გამოირჩევა ისეთი ჯილდოებით, როგორებიცაა „გამორჩეული ციფრული ბანკი“ (IDG International Data Corporation, 2018) და რამდენიმე აღიარება Asian Banker-ისგან ვიეტნამში ციფრული ინოვაციებისთვის.

◆ გენერალური დირექტორის მოადგილე, ტექნოლოგიური დირექტორი – საიმონ ჯეიმს ვანს-კოლინა

საიმონ ვანს-კოლინა გამოცდილი ტექნოლოგიებისა და ფინტექ ინოვატორია, რომელსაც 20 წელზე მეტი გამოცდილება აქვს საბანკო, ფინანსური მომსახურებებისა და ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურაში. მას აქვს აღიარებული წარმატებები საბანკო ტექნოლოგიური პლატფორმების შექმნასა და მასშტაბირებაში, ასევე ტექნოლოგიური გუნდების ხელმძღვანელობაში ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ყველაზე წარმატებული ფინტექ კომპანიებისთვის. საიმონს აქვს ღრუბლოვანი პლატფორმებთან მუშაობის ფართო გამოცდილება, მათ შორის AWS და GCP, და ასევე მუშაობდა ისეთ თანამედროვე ტექნოლოგიებთან, როგორებიცაა Kubernetes.

პროფესიული გამოცდილება

- ▶ **Pave Bank (CTO და თანადამფუძნებელი):** ხელმძღვანელობს ინოვაციური პროდუქტების განვითარებას, უზრუნველყოფს რეგულაციებთან შესაბამისობას და ახორციელებს უსაფრთხო პრაქტიკების განვითარებას წამყვან ფინტექ სტარტაპში.
- ▶ **BigPay Group (Chief Technology Officer):** პასუხისმგებელი იყო ტექნოლოგიის ყველა ასპექტზე, მათ შორის 50 ინჟინრისგან შემდგარი გუნდის ხელმძღვანელობაზე და რეგულატორული პასუხისმგებლობების მართვაზე.
- ▶ **Fronted (Co-Founder & Chief Technology Officer):** იყო თანადამფუძნებელი რეგულირებული ფინტექ კომპანიისა, რომელიც ფოკუსირებული იყო სამომხმარებლო კრედიტებზე. წარმატებით მოიზიდა 20 მილიონი ფუნტი სტერლინგის ოდენობის კაპიტალი.
- ▶ **Monzo Bank (Founding Team Member & Platform Engineer):** მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა Monzo-ს განვითარებაში, მათ შორის Kubernetes-ზე მიგრაციაში. Monzo გაიზარდა 7 მილიონ მომხმარებლამდე და მისი ღირებულება \$4.5 მილიარდ აშშ დოლარამდე.
- ▶ **Open Banking Working Group (კომიტეტის წევრი):** წარმოადგენდა Monzo-ს ღია საბანკო სტანდარტების ჩამოყალიბებაში და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა FAPI და OIIC-ის ავთენტიფიკაციის მიღებაში.

უნარების, პროფესიული გამოცდილების, ცოდნისა და მრავალფეროვანი პროფესიული და პირადი გამოცდილების ეს მრავალფეროვნება აუცილებელია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსთვის, რათა ეფექტიანად შეასრულოს თავისი ზედამხედველობითი პასუხისმგებლობები. ბანკი მიიჩნევს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს ამჟამინდელი ზომა და შემადგენლობა სრულად შეესაბამება ბანკის საქმიანობის მასშტაბსა და სირთულეს.

03 ინფორმაცია ბანკის ფილიალებთან დაკავშირებით

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნდა ფილიალები. ბანკს აქვს წარმომადგენლობითი ოფისი ლონდონში, გაერთიანებულ სამეფოში, რომელიც არ წარმოადგენს ცალკე იურიდიულ პირს, შვილობილ კომპანიას ან ფილიალს. ის არ ახორციელებს დამოუკიდებელ საბანკო ოპერაციებს და ფუნქციონირებს როგორც ბანკის წარმომადგენლობა, რომლის ძირითადი დანიშნულებაა პოტენციურ ინვესტიორებთან, დეპოზიტორებთან და მომხმარებლებთან კომუნიკაცია და ბანკში გადმომისამართება.

04 ორგანიზაციის მომავალი განვითარების გეგმები

პეივ ბანკი დაფუძნებიდან ფოკუსირებულია რეგულაციების დაცვაზე, რომელიც მიზნად ისახავს მზარდ რეგულირებულ ფინანსურ გარემოში მომხმარებლის ნდობის მოპოვებას, რაც საშუალებას მოგვცემს მომხმარებელს მივაწოდოთ თანამედროვე ციფრული გამოცდილება და შევთავაზოთ საჭირო ფინანსურ მომსახურებები. ჩვენი მიზანია ბიზნესებისთვის თანამედროვე ფინანსური გადაწყვეტილებების მიწოდება, რითაც Pave ბანკი გახდება პიონერი საბანკო მომავლის შექმნაში, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს ავტომატიზება მოახდინონ ხაზინის, გადახდის ოპერაციების და ზოგადად, ყველა ტიპის საბანკო ოპერაციების.

პეივ ბანკი მომხმარებლებს სთავაზობს დამატებით სერვისებს, რომლებიც საშუალებას მისცემს ჩვენს ბანკს ბიზნესების და მომხმარებლების ყოველდღიური საჭიროებების ნაწილად იქცეს ღია ბანკინგის მიდგომისა და პროგრამირებადი საბანკო ელემენტების მეშვეობით.

ბანკმა ოპერაციების რეალურ გარემოში განხორციელება დაიწყო 2024 წლიდან.

05 კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2025 წელს ბანკს არ ჰქონია კვლევასთან დაკავშირებული ხარჯები.

06 საკუთარი აქციების გამოსყიდვა

ბანკს 2025 წლის განმავლობაში არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები და არ გეგმავს ამის გაკეთებას მიმდინარე ეტაპზე.

07 რისკების მართვა

პეივ ბანკი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მძლავრი რისკის კულტურის განვითარებას, რომელიც მოიცავს ორგანიზაციის ყველა დონეს. ეს ვალდებულება ემთხვევა როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის, ისე ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის მარეგულირებელ მოთხოვნებს, რაც ხაზს უსვამს ეთიკურ ქცევას, ანგარიშვალდებულებას და რისკების ეფექტურ მართვას.

ბანკის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკების მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. რისკის მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბანკის საქმიანობისთვის და ბანკის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე საკუთარი საქმიანობის ფარგლებში. ბანკის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის, საბაზრო, საოპერაციო და სხვა არაფინანსური რისკები.

ღირექტორთა საბჭოს აქვს საერთო პასუხისმგებლობა რისკის მართვის ჩარჩოს ზედამხედველობაზე, ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობასა და მისი რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიმოხილვაზე, აგრეთვე არსებითად დიდი დაქვემდებარებების დამტკიცებაზე.

სამეთვალყურეო საბჭო	ღირექტორები	აუდიტისა და რისკის კომიტეტი	რისკების კომიტეტი
უზრუნველყოფს რისკების მდგრადი კულტურის შენარჩუნებას რისკის პოლიტიკის რეგულარულად განხილვითა და დამტკიცებით, რისკის აპეტიტის დადგენით.	გადააქციონ საბჭოს რისკის პოლიტიკები ქმედითუნარიან სტრატეგებად და უზრუნველყონ მათი ეფექტური გავრცელება მთელ ორგანიზაციაში.	მონიტორინგი უწევს ფინანსურ ანგარიშგებებს, შიდა კონტროლისა და აუდიტის ფუნქციებს, რისკის მართვის სისტემებსა და კანონმდებლობასთან შესაბამისობას.	მონიტორინგი უწევს რისკის კულტურას და უზრუნველყოფს ბანკის რისკის მართვის მიზნებთან შესაბამისობას.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი განისაზღვრება როგორც ფინანსური ზარალის მიღების შესაძლებლობა, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როდესაც მსესხებელი ან კონტრაგენტი ვერ ასრულებს საკუთარ ფინანსურ ვალდებულებებს. აღნიშნული რისკი შეიძლება სხვადასხვა წყაროდან გამომდინარეობდეს, მათ შორის საინვესტიციო აქტივებიდან, წარმოებულ ინსტრუმენტებთან (დერივატივებთან) დაკავშირებული პოზიციებიდან და სხვა საკრედიტო პოზიციებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ბანკი ამჟამად არ ახორციელებს სესხების გაცემას, მას შესაძლოა საკრედიტო რისკი გაუჩნდეს სხვა ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების მიწოდებისგან.

ბანკი ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარიცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: (ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი — ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში; (ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი — ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

2025 წლის განმავლობაში ბანკი არ ეწეოდა საკრედიტო საქმიანობას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება, რაც გამოწვეული იქნება ცვლილებებით საბაზრო ცვლადებში, როგორებიცაა საპროცენტო განაკვეთი და უცხოური გაცვლითი კურსი. უცხოურ ვალუტაში არსებული აქტივების (ფულადი სახსრები ბანკებში) და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების (საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები) გარდა, ბანკს არ გააჩნია არსებითი საბაზრო რისკი.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკი არსებითად არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან მას არ გააჩნია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები, რომლებიც ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების მატარებელია. ბანკს გააჩნია აშშ-ის სახაზინო ობლიგაციები (საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები), რომლებიც ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს, თუმცა, ხელმძღვანელობის შეფასებით, აღნიშნული რისკი არ არის არსებითი, რადგან: (ა) აღნიშნულ ინსტრუმენტებს აქვთ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი; და (ბ) ბანკს აქვს განზრახვა და შესაძლებლობა შეინარჩუნოს ისინი ვადის ბოლომდე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკი ვერ შეძლებს მისი გადახდის ვალდებულებების დაკმაყოფილებას დაფარვის თარიღისთვის ჩვეულებრივ და სტრესულ სიტუაციაში. ბანკი ცდილობს მართოს თავისი ლიკვიდური სახსრები ბანკის ლიკვიდურობის პოზიციის მუდმივი მონიტორინგის, ფულადი სახსრების ნაკადების ანალიზისა და ლიკვიდობის სხვაობის შეფასების გზით.

ბანკი ახორციელებს ლიკვიდობის რისკის მართვის ყოვლისმომცველი ჩარჩოს დანერგვას ლიკვიდურობის რისკების კონტროლისა და შერბილების მიზნით, მათ შორის პოლიტიკის შემუშავებას, ლიმიტებისა და კონტროლის დანერგვას, დეტალური გეგმების შედგენას პოტენციური ლიკვიდობის კრიზისის მოსაგვარებლად, დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებას და მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ბუფერის (HQLA) შენარჩუნებას. HQLA უნდა იყოს ადვილად კონვერტირებადი ნაღდ ფულად, ღირებულების მცირე დაკარგვით ან საერთოდ არ დაკარგვით და მოიცავდეს აქტივებს, როგორებიცაა ნაღდი ფული, ცენტრალური ბანკის რეზერვები და სავაჭრო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც აკმაყოფილებენ ბაზელის III რეგულაციების კრიტერიუმებს. ბანკი ასრულებს ეროვნული ბანკის მოთხოვნებს HQLA-ზე.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკი აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის მოთხოვნებს.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს ზარალის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მოვლენების გამო. როდესაც ვერ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ყველა საოპერაციო რისკის აღმოფხვრა შეუძლებელია, მაგრამ პოტენციური რისკების სწორად განსაზღვრით და შესაბამისი კონტროლის მექანიზმების დანერგვით ბანკს შეუძლია რისკების მართვა.

ოპერაციული რისკების მართვის სტრუქტურა მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორებს, უფროს მენეჯმენტს და რისკების კომიტეტს. საბჭო უზრუნველყოფს ზედამხედველობას და ადგენს რისკის აპეტიტს, ხოლო დირექტორები პასუხისმგებელი არიან ORM ჩარჩოს განხორციელებაზე და შენარჩუნებაზე.

მარეგულირებლის რისკი

ბანკის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ. შესაბამისად, არსებობს მარეგულირებლის რისკი, რომ ეროვნულმა ბანკმა გაზარდოს არსებული მოთხოვნები, როგორც მთლიანი საბანკო სექტორისთვის, ისე კონკრეტული ინსტიტუტებისთვის. შესაბამისად, შესაძლოა ბანკის მომგებიანობა და შედეგები დაიტვირთოს მარეგულირებლის მაღალი მოთხოვნებით, მათ შორის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის მხრივ.

ეროვნული ბანკი როგორც წესი წინასწარ ავრცელებს მოსალოდნელ საკანონმდებლო ცვლილებებს მოთხოვნებთან დაკავშირებით, ამიტომ ბანკს როგორც წესი მიეცემა გონივრული ვადა, რომ მოერგოს ცვლილებებს. შედეგად რეგულატორის რისკის აღბათობა დაბალია.

08 ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები ათას ლარში)

	31.12.2025	31.12.2024
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	59,588	7,964
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	30,124	15
სხვა აქტივები	1,360	499
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	23,871	—
არამატერიალური აქტივები	249	262
ძირითადი საშუალებები	48	5
სულ აქტივები	115,240	8,745
ვალდებულებები და კაპიტალი		
ვალდებულებები		
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	96,293	1,273
საგადასახადო ვალდებულებები	179	—
სხვა ვალდებულებები	9,824	49
სულ ვალდებულებები	106,296	1,322

	31.12.2025	31.12.2024
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	8,052	8,052
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	892	(629)
სულ კაპიტალი	8,944	7,423
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	115,240	8,745

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2025 წლის 31 დეკემბერს

(თანხები ათას ლარში)

	2025	2024
საპროცენტო შემოსავალი	1,881	489
საპროცენტო ხარჯი	(44)	—
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	1,837	489
საკომისიო შემოსავალი, წმინდა	3,805	44
სხვა შემოსავალი	620	498
არასაპროცენტო შემოსავალი	4,425	542
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(4,740)	(2,014)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა	130	(25)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	1,652	(1,008)
მოგების გადასახადის ხარჯი	(131)	—
წლის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1,521	(1,008)

კაპიტალის მაჩვენებლები

ბანკის კაპიტალის მართვის ძირითადი მიზანია, რომ ბანკს მუდმივად ჰქონდეს საკმარისი ოდენობის და ხარისხის კაპიტალი, რათა ყველაზე ცუდ შემთხვევაშიც შეძლოს სხვადასხვა რისკის შედეგად გამოწვეული (პოტენციური) დანაკარგების დაფარვა და შესაბამისობაში იყოს რეგულატორის მიერ დაწესებული კაპიტალის მართვის მოთხოვნებთან.

მაჩვენებელი	2025	2024
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (CET 1)	23%	254%
საზედამხედველო კაპიტალი (Regulatory capital)	23%	254%
ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი (LCR)	195%	225%
ლევერიჯის კოეფიციენტი (Leverage)	7.56%	84.42%

ბანკი სრულ შესაბამისობაშია მარეგულირებელ მოთხოვნებთან.

09 არაფინანსური მაჩვენებლები

ბანკმა მიაღწია მომხმარებელთა მოზიდვის საჭირო დონეს. 2025 წლის განმავლობაში პროდუქტების განვითარება დაჩქარდა და მიმდინარეობდა შეთანხმებული საგზაო რუკის შესაბამისად.

საანგარიშგებო წლის განმავლობაში ბანკში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 23 თანამშრომელს. დამატებით, ბანკის უმაღლესი მენეჯმენტი შედგებოდა 3 წევრისგან, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შესაბამისობაშია.

ბანკის სხვა არაფინანსური მაჩვენებლები წინამდებარე დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი, რადგან აღნიშნული მაჩვენებლების წარმოდგენა არ იძლევა დამატებით სასარგებლო ინფორმაციას ბანკის საქმიანობისა და მდგომარეობის გასაგებად.

10 დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული

თანხების შესახებ

საანგარიშგებო პერიოდში ბანკმა მნიშვნელოვანი ზრდა დააფიქსირა ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ სახსრებსა და სუვერენულ სავალო ფასიან ქაღალდებში განხორციელებულ ინვესტიციებში, რაც ძირითადად განპირობებული იყო ლიკვიდობის მართვის აქტივობებითა და საბალანსო უწყისის ზრდით.

ბანკის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 15 მაისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ომარ-სალიმ დანანი

ხელმოწერა

გენერალური დირექტორის მოადგილე

დმიტრი ბოჩაროვი

ხელმოწერა

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 15 მაისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

გენერალური დირექტორის მოადგილე

ომარ-სალიმ დანანი

დმიტრი ბოჩაროვი

ხელმოწერა

ხელმოწერა